2019

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა

შეჯამება

2019 წლის სტატისტიკური ანგარიში მიმოიხილავს ტურიზმის სექტორში არსებულ მდგომარეობას და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებს. 2010 წლიდან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობის გაზრდაში. ადმინისტრაციის მიზნებია საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში საექსპორტო შემოსავლების ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება.

სტატისტიკური მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიამ ზრდა განაგრძო. ამ წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 678,420-ით გაიზარდა და პირველად გადააჭარბა ცხრა მილიონს.

საერთაშორისო და შიდა ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. უცხოელი მოგზაურების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 71% ტურიზმზე მოდის. საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები მზარდი ტენდენციით გამოირჩეოდა, შედეგად 2019 წელს მისმა მოცულობამ 3.3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მშპ-ში წილმა კი 8.1%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევა ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების 511 მილიონი ლარით ზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი.

2019 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული იყო 2,575 განთავსების ობიექტი 94,438 საწოლი ადგილით. STR გლობალის თანახმად, 2019 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 56.7% იყო. ყველაზე მაღალი დატვირთვა აგვისტოში - 77.1%, სექტემბერში-74.5%, ივლისში და ოქტომერში - 66.8% დაფიქსირდა, ხოლო დაბალი იანვარში - 34.6%, თებერვალში - 36.4% და დეკემბერში - 38.5%. დატვირთვის კოეფიციენტით ლიდერობს თბილისი 59.7%-ით, შემდეგ მოდის ბათუმი 58.9%-ით და დანარჩენი საქართველო 46.7%-ით.

2019 წელს რამდენიმე ქვეყანასთან მოეწერა ხელი შეთანხმებებსა და მემორანდუმებს, მათ შორისაა: პორტუგალია, არგენტინა, მალდივის რესპუბლიკა. გარდა ამისა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გაწევრიანდა საერთშორისო ორგანიზაციაში "WYSE Travel Confederation", რომლის მიზანია ახალგაზრდული მოგზაურობის ინდუსტრიის და საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და მოცემული მიმართულებით მისი წევრებისთვის ბიზნეს-განვითარების მექანიზმების შემუშავება.

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების გასაზრდელად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება, სერვისის ხარისხის გაუმჯობესება, საქართველოს ცნობადობის ამაღლება, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე და ტურისტული პროდუქტის განვითარება.

2019 წელს ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 30 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, ჩაატარა 131 პრეს და გაცნობითი ტური (574 ჟურნალისტი, ბლოგერი, გადამღები ჯგუფი და 257 ტურ-ოპერატორი). პრეს და გაცნობითი ტურების შედეგად მომზადდა 300-მდე სტატია, პოსტი და ბლოგი ასევე 15-მდე სატელევიზიო გადაცემა და სიუჟეტი. გაიმართა საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის პრეზენტაცია რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორისაა: იაპონია, უზბეკეთი, ჩეხეთი, ისრაელი, ესპანეთი, კორეა. სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები მოიცავდა მიზნობრივ ბაზრებზე ინტეგრირებულ, ციფრულ და სატელევიზიო კამპანიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვარზე შემოსული ვიზიტორებისთვის ბრენდირებული სასაჩუქრე ღვინის ჩუქების აქცია, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია გახდება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც ხშირად მიუბრუნდებით.

საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში

2019 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა მაინც გაიზარდა. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 9 მილიონიან ნიშნულს და 9,357,964 შეადგინა (+7.8%).

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას (წილი 83%) და სხვა ვიზიტებს (არატურისტული) (წილი 17%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების 66% ტურისტული ვიზიტი (ვიზიტი ღამისთევით) იყო, ხოლო 34% ერთდღიანი ვიზიტი.

ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი წლის განმავლობაში აგვისტოში 1,086,596 (წილი 14%), ივლისში 882,331 (წილი 11%) და სექტემბერში 784,280 (წილი 10%) განხორციელდა. ყველაზე ნაკლები ვიზიტით კი თებერვალი 389,218 (წილი 5%), იანვარი 437,218 (წილი 6%), მარტი 507,064 (წილი 7%) გამოირჩა.

საერთაშორისო ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) უმეტესი წილი - 76.3% (5,519,738) მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, მხოლოდ 23.7% (1,717,195) მოდის სხვა ქვეყნებზე. წლის ლიდერი ვიზიტების რაოდენობით და რაოდენობრივი ზრდით აზერბაიჯანია 1,526,619 (+102,009)

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა 5,775,983 (74.8%) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის საჰაერო ტრანსპორტი 1,829,341 (23.7%). სარკინიგზო და საზღვაო გზით ვიზიტების რაოდენობამ, შესაბამისად 79,902 (1%) და 40,548 (0.5%) შეადგინა. ყველაზე დატვირთული საზღვარია თბილისის აეროპორტი 1,355,626 (მთლიანი საზღვრის კვეთების 17.5%). მას მოსდევს სარფი 1,355,489 (17.5%) , ყაზბეგი 1,256,631 (16.3%), წითელი ხიდი 1,235,802 (16%), სადახლო 1,211,590 (15.7%). საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა მილიონს მხოლოდ ამ ხუთი საზღვრის შემთხვევაში აჭარბებს, რაც მთლიანი ვიზიტების 83%-ია. უახლოეს მდევრის ბათუმის აეროპორტის ვიზიტები, სულ რაღაც 258,159-ს შეადგენს.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 484,996 შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი გერმანიიდან 89,051 (+38%), პოლონეთიდან 88,300 (+32%) და გაერთიანებული სამეფოდან 37,478 (+27%) ფიქსირდება.

საქართველოში ვიზიტების უმრავლესობა მამაკაცების მიერ ხორციელდება 5,002,270 (65%), ქალების ვიზიტებს კი 2,723,504 (35%) შეადგენს. ყველაზე მეტი ვიზიტი 31-50 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა განახორციელეს 3,695,443 (48%). მას მოსდევს 15-30 ასაკობრივი ჯგუფი 1,984,120 (26%) და 51-70 ასაკობრივი სეგმენტი 1,901,353, (25%). ყველაზე მცირე ასაკობრივი ჯგუფი 71+ მხოლოდ ვიზიტების 2%-ს აერთიანებს, რაც რაოდენობრივად 144,858 ვიზიტია.

საერთაშორისო ვიზიტორებმა საქართველოში საშუალოდ 1.27 საერთაშორისო ვიზიტი განახორციელეს, მისი მნიშვნელობა შარშან 1.25 შეადგენდა. საშუალოდ ყველაზე მეტი ვიზიტი თურქ ვიზიტორებს შორის დაფიქსირდა 1.44, მას მოსდევს სომეხი 1.41, ბულგარელი 1.37 და აზერბაიჯანელი 1.37 ვიზიტორები.

ძირითადი ინფორმაცია

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

მეთოდოლოგია

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა აღწერს ვიზიტების რაოდენობის დინამიკას, რომლებიც 21 სასაზღვრო გამშვები პუნქტის საშუალებით განხორციელდა.

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან. საერთაშორისო მოგზაურის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტად მოვიხსენიებთ. არსებობს მოგზაურთა ორი ტიპი: ვიზიტორები და სხვა მოგზაურები.

ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შეირჩა მეთოდი, რომლის თანახმადაც ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერთაშორისო ვიზიტორის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საერთაშორისო ვიზიტს ვუწოდებთ.

სხვა მოგზაურები (არატურისტული)- მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორიცელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 15 წლის ან უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში).

ყველა მოგზაურთა ტიპი, რომლებიც ტურიზმში არიან ჩართულები ვიზიტორებს წარმოადგენენ. ამიტომ ვიზიტორი ტურიზმის სტატისტიკის მთლიანი სისტემის მთავარ კონცეფციად ითვლება. მოცემულ თავში სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით კეთდება ქვეყნების, საზღვრების, საზღვრის ტიპების, სქესის და ასაკის ტენდენციების ანალიზი. შემდეგ თავში კი ამავე კატეგორიის მახასიათებლების ანალიზია მოცემული. ტერმინი ვიზიტორი თავის მხრივ იყოფა ორ კატეგორიად: ტურისტები (ვიზიტორები ღამისთევით) და ერთდღიანი ვიზიტორები.

ტურისტი არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები საერთაშორისო ტურისტული ვიზიტებია.

ერთდღიანი (ექსკურსანტი) არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები ერთდღიანი (ექსკურსიული) ვიზიტებია.

მსოფლიოში ქვეყნები განსხვავდებიან მეთოდოლოგიით, რომლითაც საერთაშორისო ტურისტულ ვიზიტებს ითვლიან. ანალიზის გაკეთებისას მნიშვნელოვანია ამ განსხვევებების მხედველობაში მიღება. გამოიყოფა შემდეგი მეთოდოლოგიური ნაირსახეობები:

TF = საერთაშორისო ტურისტული შემოსვლები საზღვრებზე (ვიზიტორები ღამისთევით, ერთდღიანი ვიზიტორების გამოკლებით)
VF=საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლები საზღვრებზე (ტურისტები და ერთდღიანი ვიზიტორები)
THS = საერთაშორისო ტურისტული შემოსვლები სასტუმროში და მსგავს დაწესებულებებში
TCE = საერთაშორისო ტურისტული შემოსვლები კოლექტიურ ტურისტულ დაწესებულებებში
TD = ტურისტების გამგზავრებები (ვიზიტორები ღამისთევით, ერთდღიანი ვიზიტორების გამოკლებით)
VD = ერთდღიანი და ტურისტების გამგზავრებები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით ცენტრალურ აღმოსავლეთ ევროპაში შემავალი ქვეყნებია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, მოლდოვა, რუმინეთი რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge
საერთაშორისო მოგზაურები რეზიდენტობის მიხედვით (xsl) - https://bitly.com/30mUluf

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში მეზობელი ქვეყნების წილი იკლებს. 2019 წელს მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტებმა 5,519,738 შეადგინა, რაც +6.2%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. სხვა ქვეყნების ვიზიტების ზრდა უფრო მნიშვნელოვანი იყო და მათმა რაოდენობამ 1,717,195-ს (12.2%) მიაღწია. შედეგად მეზობელი ქვეყნების წილი მთლიან საერთაშორისო ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 77.3%-დან 76.3%-მდე შემცირდა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ტურიზმის სტრატეგიითაც არის გათვალისწინებული.

საერთაშორისო ვიზიტების ზრდა უმეტესწილად ტურისტული ვიზიტების მატებით იყო განპირობებული. საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რიცხვმა საქართველოში 5,080,478 შეადგინა, რაც 6.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჯამში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 522,424-ით გაიზარდა, ზრდაში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 323,658-ს (ზრდაში წვლილი 62%) შეადგენდა.

ტოპ 15 ქვეყნის სტრუქტურა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) უცვლელი დარჩა, თუმცა პოზიციების მნიშვნელოვანი გადანაცვლებებია, მათ შორის აღსანიშნავია ყაზახეთის სამი პოზიციით დაწინაურება. მეზობელმა ქვეყნებმა, გერმანიამ და ინდოეთმა შეინარჩუნეს ძველი პოზიციები. დაწინაურებელ ქვეყნებს შორის იყო უკრაინა(+1), ისრაელი (+1), ყაზახეთი(+3), საუდის არაბეთი (+1) და ჩინეთი (+1). პოზიციები კი დაკარგეს შემდეგმა ქვეყნებმა: ირანი (-2), პოლონეთი(-2), ბელარუსი(-2), აშშ(-1).

საერთაშორისო ვიზიტებში ყველაზე დიდი რაოდენობრივი ზრდა მეზობელი ქვეყნებიდან, ხოლო კლება ირანიდან დაფიქსირდა. რაოდენობრივი ზრდით ლიდერი აზერბაიჯანი იყო (+102,009). მაღალი საერთაშორისო ვიზიტების ზრდით მას მოჰყვება სომეხი (+96,162), რუსი (+66,801), თურქი (+57,958) ვიზიტორები. არამეზობელ ქვეყნებს შორის ლიდერობს ისრაელი (+48,129), ყაზახეთი (+44,656) და უკრაინა (+30,609). ყველაზე დიდი კლება კი ირანიდან დაფიქსირდა (-149,073).

საერთაშორისო ვიზიტებში ყველაზე დიდი რაოდენობრივი კლება თბილისის აეროპორტში დაფიქსირდა. 21 საზღვრიდან კლება 6 სასაზღვრო პუნქტში დაფიქსირდა, ჯამურად - 77,779. ყველაზე მეტი კლება თბილისის აეროპორტზე მოდის - 46,531 (წვლილი კლებაში 60%). მას მოსდევს ვალე - 20,674 (წვლილი კლებაში 27%) და კარწახი - 8,095 (წვლილი კლებაში 10%). დანარჩენ საზღვრებზე შედარებით მცირედი კლება დაფიქსირდა: ვახტანგისი - 2,366, ყულევის პორტი - 93, სამთაწყარო - 20. კლების დაბალანსება მოხდა დანარჩენი 15 საზღვრიდან ზრდით, ჯამურად +600,203. აქედან სამ საზღვარზე დაფიქსირდა 100,000 ვიზიტით მეტი ზრდა: სადახლო +154,009 (წვლილი ზრდაში 26%), ყაზბეგი +127,141 (წვლილი ზრდაში 21%), წითელი ხიდი +114,750 (წვლილი ზრდაში 19%).

თბილისის აეროპორტში კლება გამოწვეულია ირანიდან და რუსეთიდან ვიზიტების შემცირებით. ირანიდან კლება -101,166 შეადგენს (წვლილი კლებაში 53%), რუსეთიდან კი -81,258 (წვლილი კლებაში 42%). კლების მცირედი დაბალანსება მოხდა რამდენიმე ქვეყნიდან მათ შორის ლიდერობენ: ისრაელი +20,624 (წვლილი ზრდაში 14%), საუდის არაბეთი +19,658 (წვლილი ზრდაში 14%), გერმანია +15,964 (წვლილი ზრდაში 11%).

ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა იზრდება. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 484,996 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 25.9%-ია. ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობრივი ზრდა გერმანიიდან (+24,565) და პოლონეთიდან (+21,397) დაფიქსირდა.

არამეზობელი ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტული ვიზიტების კატეგორიაში ხვდება. მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების მხოლოდ 55%-ია ტურისტული ვიზიტი (3,035,147), იგივე მაჩვენებელი არამეზობელი ქვეყნების შემთხვევაში 92,7%-ს (2,045,331) აღწევს.

საერთაშორისო ვიზიტების ყველაზე დიდი ზრდა 31-50 ასაკობრივ ჯგუფში იყო. 31-50 ასაკობრივ ჯგუფში საერთაშორისო ვიზიტები +272,000-ით გაიზარდა, მას მოსდევს 51-70 ასაკობრივი ჯგუფი +159,289 ზრდით. დანარჩენ ორ კატეგორიაში ზრდა შედარებით მცირე იყო: 15-30 ასაკობრივ კატეგორიაში +66,888 და 71+ ასაკობრივ კატეგორიაში +24,247.

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში მამაკაცთა მიერ განხორციელებული ვიზიტების წილი გაიზარდა. მამაკაცების მიერ განხორციელებულმა ვიზიტებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 388,302-ით მოიმატა. ქალების ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 134,122 ვიზიტს შეადგენდა. შედეგად მამაკაცთა წილი მთლიან ვიზიტებში 1% ერთეულით გაიზარდა და 65% შეადგინა.

საერთაშორისო ტურისტულ ვიზიტებში რუსეთი, ერთდღიან ვიზიტებში კი სომხეთი ლიდერობს. ტურისტულ ვიზიტებში რუსეთმა პირველი ადგილი დაიკავა 1,077,395 ვიზიტით, რაც -0.6%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. სომხეთი კი ერთდღიან ვიზიტებში ლიდერობს 795,611 ვიზიტით, რაც 4.9%-ით მეტია წინა წლის მონაცემთან.

საქართველო ცენტრალურ აღმოსავლეთ ევროპაში შემოსავლების მიხედვით ლიდერებს შორისაა. ბოლო წლამდე საქართველო რამდენიმე წლის განმავლობაში ლიდერებს შორის იყო ტურისტული ვიზიტების ზრდის პროცენტით, არამარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც. წლების განმავლობაში მაღალი ტურისტული ზრდა მაღალ რაოდენობებში, რაოდენობა კი თავის მხრივ შემოსავლებში გადაითარგმნა. საქართველო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ლიდერებს შორის არის შემოსავლების მიხედვით დაახლოებით 5%-იანი წილით (რეგიონში რამდენიმე ქვეყნის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება).

საერთაშორისო მოგზაურების კლასიფიკაცია

ვიზიტის ტიპი	2018	2019	ცვლილება	ცვლილება %	წილი %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	8,679,544	9,357,964	678,420	7.8%	100.0%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	7,203,350	7,725,774	522,424	7.3%	82.6%
ტურისტული ვიზიტი	4,756,820	5,080,478	323,658	6.8%	65.8%
ერთდღიანი ვიზიტი	2,446,530	2,645,296	198,766	8.1%	34.2%
სხვა (არატურისტული)	1,476,194	1,632,190	155,996	10.6%	17.4%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	მოსაზღვრე ქვეყანა	2018	2019	ცვლილება	ცვლილება%	წილი %
ჯამი	⬇	6,482,830	7,203,350	720,520	11.1%	100%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
თბილისის აეროპორტი	.....	1,402,157	1,355,626	-46,531	-3.3%	17.5%
სარფი	თურქეთი	1,296,833	1,355,489	58,656	4.5%	17.5%
ყაზბეგი	რუსეთი	1,129,490	1,256,631	127,141	11.3%	16.3%
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	1,121,052	1,235,802	114,750	10.2%	16.0%
სადახლო	სომხეთი	1,057,581	1,211,590	154,009	14.6%	15.7%
ბათუმის აეროპორტი	.....	239,251	258,159	18,908	7.9%	3.3%
ცოდნა	აზერბაიჯანი	207,309	219,626	12,317	5.9%	2.8%
ქუთაისის აეროპორტი	.....	147,009	215,556	68,547	46.6%	2.8%
ნინოწმინდა	სომხეთი	163,985	167,157	3,172	1.9%	2.2%
კარწახი	თურქეთი	106,006	97,911	-8,095	-7.6%	1.3%
ვალე	თურქეთი	112,763	92,089	-20,674	-18.3%	1.2%
გუგუთი	სომხეთი	47,784	69,835	22,051	46.1%	0.9%
ვახტანგისი	აზერბაიჯანი	71,769	69,403	-2,366	-3.3%	0.9%
გარდაბნის რკინიგზა	აზერბაიჯანი	37,694	46,677	8,983	23.8%	0.6%
სადახლოს რკინიგზა	სომხეთი	29,257	32,652	3,395	11.6%	0.4%
ფოთის პორტი	.....	14,038	19,362	5,324	37.9%	0.3%
ბათუმის პორტი	.....	16,445	19,291	2,846	17.3%	0.2%
ყულევის პორტი	.....	1,988	1,895	-93	-4.7%	0.0%
კარწახის რკინიგზა	თურქეთი	527	573	46	8.7%	0.0%
სამთაწყარო	აზერბაიჯანი	337	317	-20	-5.9%	0.0%
ახკერპი	სომხეთი	75	133	58	77.3%	0.0%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

	ქვეყანა	2018	2019	ცვლილება	ცვლილება %
1	აზერბაიჯანი	1,424,610	1,526,619	102,009	7.2%
2	რუსეთი	1,404,757	1,471,558	66,801	4.8%
3	სომხეთი	1,268,886	1,365,048	96,162	7.6%
4	თურქეთი	1,098,555	1,156,513	57,958	5.3%
5	საქართველო (არარეზიდენტი)	476,389	488,841	12,452	2.6%
6	უკრაინა	177,058	207,667	30,609	17.3%
7	ისრაელი	156,922	205,051	48,129	30.7%
8	ირანი	291,070	141,997	-149,073	-51.2%
9	ყაზახეთი	58,955	103,611	44,656	75.7%
10	გერმანია	64,486	89,051	24,565	38.1%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

	ქვეყანა	2018	2019	ცვლილება	ცვლილება %
1	რუსეთი	1,083,874	1,077,395	-6,479	-0.6%
2	აზერბაიჯანი	697,782	751,215	53,433	7.7%
3	თურქეთი	589,340	637,100	47,760	8.1%
4	სომხეთი	510,542	569,437	58,895	11.5%
5	ისრაელი	154,764	202,370	47,606	30.8%
6	უკრაინა	158,160	189,210	31,050	19.6%
7	ირანი	280,735	137,223	-143,512	-51.1%
8	პოლონეთი	65,361	86,716	21,355	32.7%
9	გერმანია	61,422	85,251	23,829	38.8%
10	ყაზახეთი	51,489	77,856	26,367	51.2%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები ქვეყანაში: რაოდენობა vs პროცენტული ზრდა



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები: საქართველო vs მსოფლიო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტების მახასიათებლები

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ ჯამში 7,725,774 შეადგინა. მათგან 66% (5,080,478) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა), ხოლო 34% ერთდღიანი ვიზიტი (2,645,296) იყო.

მთლიანი ვიზიტების 73.8% განმეორებით განხორციელდა საქართველოში, 26.2% კი პირველი ვიზიტი იყო. განმეორებითი ვიზიტების ყველაზე დიდი წილი აზერბაიჯანის ვიზიტებზე მოდის 28.9%, მას მოსდევს სომხეთი 22.2%, რუსეთი 20.8% და თურქეთი 15.5%. პირველადი ვიზიტების რაოდენობაში კი ლიდერობენ რუსეთი და თურქეთი, მათზე შესაბამისად მთლიანი პირველადი ვიზიტების 23% და 16.8% მოდის.

მოგზაურობის მიზანი

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (43.5%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა მეგობრების და ნათესავების მონახულება (19%), ტრანზიტი (16.1%), ბიზნესი, პროფესიული საქმიანობა (10.8%), შოპინგი (6.8%) და მკურნალობა (1.8%), მხოლოდ ვიზიტების 1.5% იყო სხვა მიზნით განხორციელებული.

განთავსების საშუალებები

2019 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 31,741,402-ს შეადგენს, მათი საშუალო ღამისთევა კი 4.1 ღამეა. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების საქართველოში ყოფნის პერიოდი საკმაოდ მცირეა, რუსეთის რეზიდენტებისგან განსხვავებით, რომლებიც საშუალოდ 5.9 რჩებიან საქართველოში.

მთლიანი ღამისთევებიდან ყველაზე დიდი წილი (34.2%) სასტუმროში განხორციელდა. მეოთხედზე მცირედით ნაკლები (22.9%) კი მეგობრების, ნათესავების სახლში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო ვიზიტორებს შორის, ღამისთევების 13.5% სასტუმრო სახლში, ჰოსტელში განხორციელდა.

ვიზიტის დანიშნულების რეგიონი და ადგილი

ვიზიტების 54.6% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს აჭარა 30.2%, ქვემო ქართლი 17% და მცხეთა-მთიანეთი 16.9%. დანარჩენ რეგიონებს შედარებით მცირე რაოდენობის ვიზიტორები სტუმრობენ: სამცხე ჯავახეთი 6.6%, კახეთი 6.5%, იმერეთი 4.9%, შიდა ქართლი 3.1%, სამეგრელო ზემო სვანეთი 2.8%, გურია 1.3%, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი 0.2%.

ადგილების ჭრილში, თბილისი და ბათუმი 28.9% ლიდერობენ. სხვა დანიშნულების ადგილებს ვიზიტორთა უფრო მცირე რაოდენობა ესტუმრა.

მათ შორის ყველაზე პოპულარულია მარნეული 11.4%, ყაზბეგი 8.3% და მცხეთა 6.8%. სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილებია: ქუთაისი 4.6%, გუდაური 4.5%, სიღნაღი 3.7%, რუსთავი 3.7%, ბორჯომი 3.1%, ქობულეთი 2.8%.

ვიზიტზე გაწეული დანახარჯები

საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 8.5 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,102 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯების 27.5%) და განთავსების საშუალებებზე (23.7%) დაფიქსირდა.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება. ინტერვიუები ტარდება კვარტალურად სისტემური შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა იცვლება კვარტლების მიხედვით: I, II და IV კვარტალში - თვეში 900 რესპონდენტი, III კვარტალში - თვეში 1300 რესპონდენტი.

ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას ათ უდიდეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვარები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანმხლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე: www.gnta.ge

საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლები (xsl) - https://bit.ly/3iot14W

საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლების ანგარიში (pdf) - https://bit.ly/3hZKukr

კროსტაბულაციური ანალიზი (pdf)- https://bit.ly/3lSOXHZ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო დანახარჯები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯების სტუქტურა (ლარი)	2018	2019	ცვლილება %	დანახარჯის წილი
საკვები და სასმელი	2,266,881,133	2,343,421,279	3.4%	28%
განთავსების საშუალებები	1,854,514,224	2,021,228,953	9.0%	24%
შოპინგი	1,611,720,529	1,800,271,650	11.7%	21%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1,434,705,232	1,528,705,888	6.6%	18%
ადგილობრივი ტრანსპორტი	560,769,313	644,544,830	14.9%	8%
სხვა დანახარჯები	188,913,699	173,362,328	-8.2%	2%
მთლიანი დანახარჯი	**7,917,504,128**	**8,511,534,927**	7.5%	100.0%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტები რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტები ლოკაციების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტების მახასიათებლები

24%
თბილისი – ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი

10%
ბათუმი

7%
ქუთაისი

შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 14.3 მილიონი ვიზიტი განახორციელეს. ყველაზე მეტი ვიზიტი 29.9% თბილისიდან დაფიქსირდა.
შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა.

ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2 ღამეს შეადგენდა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი იყო - 3,4 ღამე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი ერთ ან ორ ღამეს შეადგენდა. შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი 51% საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. შოპინგი მოგზაურობის მთავარ მიზანს ვიზიტების 12.3%-სთვის შეადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილით 9.7%-ით იყო წარმოდგენილი დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტები. რას შეეხება მეორე სახლის მონახულებას ამ მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა 9.5% შეადგინა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის იყო: მკურნალობა, გაჯანსაღება 8.8% და ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა 4.7%.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

შიდა ვიზიტების 24.2% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოჰყვება ბათუმი 9.8% და ქუთაისი 7%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 2.6%, მცხეთა 2.4%, გორი 1.6%, მარნეული 1.5% და ზუგდიდი 1.4%. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი 17.5%, აჭარა 13.9% და კახეთი 7.6% იყო.

განთავსების საშუალებები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ღამისთევების საერთო რაოდენობამ 28.1 მილიონი შეადგინა. მათ შორის, ვიზიტორებმა ღამისთევების 58.3% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 28.8% - საკუთარ სახლში, ხოლო 4.2% კი საოჯახო სასტუმროში.

დანახარჯები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 1.8 მილიარდ ლარს აღემატებოდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 129.3 ლარს შეადგენდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 33.1% საყიდლებზე დაფიქსირდა.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს შიდა ვიზიტების სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.

შიდა ტურიზმი - საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთესად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

ძირითადი ინდიკატორები

საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, ვიზიტის ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილები, განთავსების საშუალებები, ინფორმაციის წყაროები, სატრანსპორტო საშუალებები, კმაყოფილების დონე, დანახარჯები.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

შიდა ვიზიტორების მახასიათებლები (xsl) - https://bit.ly/3hMFeQP
შიდა ვიზიტორების მახასიათებლების ანგარიში (pdf) - https://bit.ly/3hJM9tU

ასაკობრივი პროფილი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



51%

შიდა ვიზიტების უმეტესობა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად განხორციელდა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

კომპონენტები	მთლიანი ხარჯი ლარი (X1000)	დანახარჯის წილი
შოპინგი	609,816	33.1%
საკვები და სასმელი	451,137	24.5%
ტრანსპორტი	335,886	18.2%
განთავსების საშუალება	82,797	4.5%
რეკრეაცია, კულტურული აქტივობები	29,636	1.6%
სხვა	333,244	18.1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის ხანგრძლივობა

რეგიონი	ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა
ქ. თბილისი	1.7
აჭარის ა/რ	1.8
გურია	2.5
იმერეთი	1.4
კახეთი	2.0
მცხეთა - მთიანეთი	1.7
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7.2
სამეგრელო - ზემო სვანეთი	2.9
სამცხე - ჯავახეთი	3.6
ქვემო ქართლი	1.7
შიდა ქართლი	1.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მონახულებული რეგიონები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ვიზიტების მახასიათებლები

გამყვანი ვიზიტების რაოდენობამ ჯამში 2,373,888 შეადგინა. მათგან 57% (1,357,207) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა), ხოლო 43% ერთდღიანი ვიზიტი (1,016,681) იყო.

გამყვანი ვიზიტების ყველაზე დიდ ნაწილს (45%) 31-50 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენდა, 15-30 წლის ვიზიტორები 29%-ს შეადგენდნენ, ხოლო 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფი 24% იყო. გამყვანი ვიზიტორების მხოლოდ 2% იყო 71+ ასაკის. ვიზიტორების უმრავლესობა 59% კაცი იყო, 41% კი ქალი. მთლიანი ვიზიტების 94.4% განმეორებით განხორციელდა სხვა ქვეყანაში, 5.6% კი პირველი ვიზიტი იყო.

მოგზაურობის მიზანი

გამყვანი ვიზიტების უმრავლესობა მეგობრების და ნათესავების მონახულების მიზნით განხორციელდა (36.2%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა შოპინგი (28.7%), ეკონომიკური საქმიანობა (17.5%), დასვენება, გართობა რეკრეაცია (12.8%), მკურნალობა (3.1%) და განათლება (1.1%), მხოლოდ ვიზიტების 0.7% იყო სხვა მიზნით განხორციელებული.

განთავსების საშუალებები და ხანგრძლივობა

2019 წელს გამყვანი ვიზიტების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 9,313,690-ს შეადგენს, მათი საშუალო ღამისთევა კი 4 ღამეა.

მთლიანი ღამისთევებიდან ყველაზე დიდი წილი (42.6%) მეგობრების და ნათესავების სახლში განხორციელდა. მეოთხედზე მცირედით ნაკლები (21.6%) კი სასტუმროში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება გამყვან ვიზიტორებს შორის, 12.4% საკუთარ სახლში დარჩა, ხოლო 12.1% ნაქირავებ სახლში.

გამყვანი ვიზიტის დანიშნულების ადგილი

მთლიანი ვიზიტების უმრავლესობა 80% მეზობელ ქვეყნებში განხორციელდა. მათ შორის ლიდერი თურქეთია 44.7%-ით, მას მოსდევს აზერბაიჯანი 19.5% და სომხეთი 11.7%. მეზობელ ქვეყნებში ყველაზე ნაკლები ვიზიტი 7% რუსეთში იყო. არამეზობელ ქვეყნებში შედარებით ნაკლები ვიზიტები ხორციელდება. მათ შორის ლიდერობს გერმანია 2.1%-ით, უკრაინა 1.7% და პოლონეთი 1.6%-ით.

ვიზიტზე გაწეული დანახარჯები

გამყვანი ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 2.1 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 877 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯების 32.6%) და შოპინგზე (31.4%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი განთავსებაზე (18.3%) დანახარჯები, ხოლო კულტურულ და გასართობ აქტივობებზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 7.2% გასწიეს.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება. ინტერვიუები ტარდება კვარტალურად სისტემური შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა არის წელიწადში 12 000 კითხვარი (თვეში 1 000 კითხვარი). ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებთან, რომლებიც ბრუნდებიან საქართველოში უცხოეთში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ. გამოკითხვა ტარდება ათ უდიდეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვარები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანმხლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე: www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

გამყვანი ვიზიტორების მახასიათებლები (xsl) - https://bit.ly/2X9U4cd

გამყვანი ვიზიტორების მახასიათებლების ანგარიში (pdf) - https://bit.ly/3hOMkUJ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯების სტრუქტურა (ლარი)	2019	დანახარჯის წილი
საკვები და სასმელი	679,472,926	32.6%
შოპინგი	653,523,931	31.4%
განთავსების საშუალებები	380,488,271	18.3%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	150,942,954	7.2%
სხვა დანახარჯები	113,294,231	5.4%
ადგილობრივი ტრანსპორტი	104,370,370	5.0%
მთლიანი დანახარჯი	**2,082,092,683**	100.0%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ვიზიტები, პირველი 15 ქვეყანა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

■ სულ
■ გართობა, დასვენება, რეკრეაცია

ტურიზმი, ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2019 წელს ამ დარგის მთლიანმა კონტრიბუციამ მშპ-ში 8.9 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა და ხელი შეუწყო 330 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. აღნიშნული სექტორის მთლიანი წვლილი (პირდაპირი და გვერდითი ეფექტები) მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.3%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.3% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.8% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში (WTTC).

ტურიზმი - უხილავი ექსპორტი

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. დაახლოებით 71% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის. აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს უცხოური ვიზიტორების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს.

2019 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 3.27 მილიარდ დოლარს (ზრდა +1.4%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.66 მილიარდი დოლარი შეადგინა (ზრდა +25.2%). შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 2.6 მილიარდ დოლარს (ზრდა +3.2%).

2019 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 2.69 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით +25.8%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ტურიზმის წილი ეკონომიკაში

2019 წელს მონაცემებით მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 3.63 მილიარდ ლარს მიაღწია გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +20.4%). შედეგად, ტურიზმის წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 7.8%-დან 8.4%-მდე გაიზარდა. 2019 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა განთავსების საშუალებებში (ზრდა +31.6%), ტრანსპორტში (საჰაერო ტრანსპორტი ზრდა +40.3%, სხვა ტრანსპორტი ზრდა +11.4%), კვების საშუალებებში (ზრდა +8% და ტურისტული კომპანიები (ზრდა +28.7%).

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

- ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში.
- ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში.
- უცხოური ვალუტის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან.
- უცხოური ვალუტის დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე.
- უცხოური ტურიზმის ბალანსი.
- საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები.

უფრო დეტალური ინფორმაცია ტურიზმის ეკონომიკაში კონტრიბუციის შესახებ იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის **www.geostat.ge** საქართველოს ეროვნული ბანკისა **www.nbg.gov.ge** და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: **www.gnta.ge**
ეკონომიკური მაჩვენებლები
(xsl) - https://bit.ly/31aitk6



ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2016 - 2019 (მლნ ლარი)

	2016	2017	2018	2019	ცვლილება % 2018 - 2019
სულ	1,968	2,597	3,016	3,630	20.4%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
განთავსების ობიექტები	594	861	1,185	1,560	31.6%
კვების ობიექტები	460	576	615	664	8.3%
ტრანსპორტი	832	1,050	1,096	1,252	14.3%
ტურისტული კომპანიები	82	110	120	154	28.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2016 - 2019 (ათასი აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	ცვლილება % 2018 - 2019
სულ	2,110,709	2,704,340	3,222,074	3,268,654	1%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
I კვ.	342,590	425,673	550,730	578,442	5%
II კვ.	497,441	629,854	809,969	877,626	8%
III კვ.	813,161	1,078,274	1,210,561	1,126,771	-7%
IV კვ.	457,517	570,538	650,814	685,814	5%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საავიაციო ბაზარი

საქართველოს საავიაციო ბაზარი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. საქართველოში სამი საერთაშორისო და ორი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. საქართველოს საავიაციო ბაზარი უმეტეს წილად საერთაშორისოა; ფრენების უმეტესი ნაწილი თბილისის აეროპორტზე მოდის.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. აღნიშნულ აეროპორტში პირველი ავიარეისი უნგრულმა ავიაკომპანიამ Wizz Air-მა კიევის მიმართულებით შეასრულა. საქართველოს ავიაბაზარზე ფრენებს ახორციელებდნენ შემდეგი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები, რომლებსაც სატარიფო სქემებში გათვალისწინებული აქვთ დაბალი ტარიფები: Wizz Air, Air Arabia, Pegasus, FlyDubai, Pobeda Airlines, Air Baltic, Buta Airways, Salam Air, Flynas, Ukraine International Airlines, Skyup Airlines. საქართველოში არსებულ აეროპორტებს 2017 წელს ამბროლაურში კიდევ ერთი ადგილობრივი აეროპორტი დაემატა. საქართველოში აეროპორტების რიცხვი მომავალშიც გაიზრდება. მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უმოქმედო აეროდრომების, ვერტოდრომებისა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლების შესწავლა და შეფასება მათი სამომავლო ექსპლუატაციის მიზნით.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობა წელიწადში 6.1 მილიონი და 600,000 მგზავრია შესაბამისად. ხოლო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 600,000 მგზავრი/წელიწადი. რაც შეეხება მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებს, მათი დატვირთვა შესაბამისად 50,000 და 50,000 მგზავრია წელიწადში. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გაფართოების სამუშაოების დასრულების შემდეგ გამტარუნარიანობა შესაბამისად 2.5 მილიონიდან და 1.4 მილიონ მგზავრამდე გაიზრდება.

ავიახაზები

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, Wizz Air Hungary არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობს და მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს. 2019 წელს ამ კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 825,290 (16.1%) შეადგინა. Turkish Airlines არის სიდიდით მეორე გადამყვანი კომპანია 572,181 (11,2%) მგზავრით. მგზავრების რაოდენობით მას მოსდევს Georgian Airways – 500,482 (9.8%); Ukraine International Airlines – 207,588 (4.1%); Fly Dubai – 204,364 (4%); Ural Airlines – 190,341 (3.7%); Pegasus - 180,761 (3.5%); Pobeda Airlines – 180,684 (3.5%); Skyup Airlines – 156,186 (3.1%).

2019 წელს 49 საერთაშორისო და ორი შიდა ავიაკომპანია სთავაზობდა მგზავრებს კომფორტულ ფრენებს საქართველოდან.

საქართველოში მოქმედი ძირითადი ავიაკომპანიებია: Wizz Air Hungary; Turkish Airlines; Georgian Airways; Ukraine International Airlines; Fly Dubai; Ural Airlines; Pegasus Airlines; Pobeda Airlines; Skyup Airlines; Air Arabia; Azerbaijan Airlines; Belavia; Qatar Airways; EL AL Israel Airlines; Israir; QESHM Air; Lufthansa და სხვა.

2019 წელს ცხრა ახალი საერთაშორისო ავიაკომპანია შემოვიდა საქართველოს საავიაციო ბაზარზე, მათ შორისაა: ფრანგული ავიაკომპანია Air France, სომხური ავიაკომპანია Aircompany Armenia, მალტის ავიაკომპანია Air Malta, ირლანდიის ავიაკომპანია Ryan Air, უზბეკეთის ავიაკომპანია Uzbekistan Airways. ჩარტერულ რეისებს ასრულებდნენ ტაილანდის ავიაკომპანია Thai AirAsia X, ლიტვური ავიაკომპანია GetJet Airlines და თურქული ავიაკომპანია Onur Air.

მოიცავს შემდეგ აეროპორტებს:
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი,
ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი,
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი,
მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი
ამბროლაურის აეროპორტი

-0.9%
24,386
რეისები

+3.3%
5,200,494
მგზავრები

ავიაკომპანიების წილობრივი განაწილება



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ახალი ავიაკომპანიები 2019 (რეგულარული)

ავიახაზები	ფრენები	სიხშირე
Ryan Air	თბილისი-მილანი-თბილისი	ოთხჯერ კვირაში
	ქუთაისი-ბოლონია-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-მარსელი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
Air France	თბილისი-პარიზი-თბილისი	ორჯერ კვირაში
Air Malta	თბილისი-მალტა-თბილისი	ერთხელ კვირაში
Aicompany Armenia	თბილისი-ერევანი-თბილისი	თოთხმეტჯერ კვირაში
Uzbekistan Airways	თბილისი-ტაშკენტი-თბილისი	ორჯერ კვირაში

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ახალი მიმართულებები საქართველოდან 2019

ავიახაზები	ფრენები	სიხშირე
Skyup Airlines	თბილისი-ხარკოვი-თბილისი ქუთაისი-ხარკოვი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში ორჯერ კვირაში
S7 Airlines	ბათუმი-ნოვოსიბირსკი-ბათუმი	ერთხელ კვირაში
Flynas	ბათუმი-რაიდა-ბათუმი	სამჯერ კვირაში
Buta Airways	ბათუმი-ბაქო-ბათუმი	სამჯერ კვირაში
Ural Airlines	თბილისი-სამარა-თბილისი	ორჯერ კვირაში
Scat	ბათუმი-ნურსულთამი-ბათუმი	ორჯერ კვირაში
Wizz Air Hungary	ქუთაისი-გდანსკი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-ტალინი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-პოზნამი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-კრაკოვი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-ბაზელი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-ბარი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-ბრიუსელი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-კოპენჰაგენი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი-ეინდჰოვენი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



განთავსების ობიექტები

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 2,575 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 94,438. აჭარის რეგიონი ლიდერია 26,519 (28.1%) საწოლი ადგილით, მას მოსდევს თბილისი - 23,596 (25%) რაოდენობით.

თბილისში რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმროა: Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi Marriott, Courtyard Marriott, Sheraton, Holiday Inn, Citadines Apart Hotel, Best Western Tbilisi, Mercure, Hotels and Preference, The Biltmore Hotel, Ibis Styles Tbilisi Center, Best Western Tbilisi City Centre, Ramada Encore, Moxy by Marriott. 2019 წელს ამ სიას Wyndham Grand და Ibis Tbilisi Stadium დაემატა.

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროები საქართველოს სხვა რეგიონებშიც იწყებენ ფუნქციონირებას. კახეთში 2019 წელს Radisson BLU Tsinandali, Park Hotel Tsinandali და Holidey Inn გაიხსნა. ასევე გუდაურში ფუნქციონირება დაიწყო Best Western Gudauri.

STR გლობალის თანახმად, 2019 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 56.7% იყო, კლებამ წინა წელთან შედარებით 6.3% შეადგინა. ყველაზე მაღალი დატვირთვა აგვისტოში - 77.1%, სექტემბერში 74.5%, ივლისსა და ოქტომერში - 66.8% დაფიქსირდა, ხოლო დაბალი იანვარში - 34.6%, თებერვალში - 36.4% და დეკემბერში - 38.5%. STR გლობალის მონაცემები სამი კატეგორიის ანალიზის საშუალებას იძლევა: თბილისი, ბათუმი და დანარჩენი საქართველო. მათგან დატვირთვის კოეფიციენტით ლიდერობს თბილის 59.7%-ით, შემდეგ მოდის ბათუმი 58.9%-ით და დანარჩენი საქართველო 46.7%-ით.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს და დაგეგმილია რამდენიმე განთავსების ობიექტის მშენებლობა. თბილისში მშენებარე ბრენდის სასტუმროებია: Hilton Garden Inn, Holiday Inn Express, Park inn by Radisson, Ramada Encore, Hyatt Regency, Radisson Blu telegraph, Golden Tulip, Marriott Autograph Collection - Panorama Freedom Square, Marriott Autograph Collection - Panorama Sololaki, Pullman Hotels & Resort da Tabori Ridge Recreation & Golf Resort, Pullman Hotels & Resort, Hilton Tbilisi, Swissotel, Ibis Hotel Tbilisi. რეგიონებში აშენდება: Courtyard by Marriott (ბათუმი), Babylon Tower (ბათუმი), Le Meridien (ბათუმი), Swissotel (ბათუმი), Wellness Resort & Spa on Mtsvane Kontskhi (მწვანე კონცხი), Ramada Resorts (გოდერძი), Radisson Blu Gudauri (გუდაური), Ramada Encore (ქუთაისი), Best Western Plus Likani Resort (ბორჯომი) და სხვა.

მშენებლობების უმეტესობა მიმდინარეობს თბილისში, აჭარაში, იმერეთში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

2019 წელს საწოლი ადგილების რაოდენობის ზრდის მიხედვით თბილისი ლიდერობს. 2019 წელს გაიხსნა 85-ზე მეტი ახალი განთავსების საშუალება 5,100-ზე საწოლი ადგილით. მათ შორის თბილისი ლიდერია 1,400-ზე მეტი დამატებითი საწოლი ადგილით (29%), შემდეგ მოდის კახეთი 1,039 (20%) და სამცხე-ჯავახეთი - 1,031 (20%).

ბრენდირებული სასტუმროების დიდი წილი (66%) თბილისზე და ბათუმზე მოდის. საქართველოში არსებული 41 ბრენდირებული სასტუმროდან 18 თბილისში ფუნქციონირებს და ქმნის 4,686 საწოლ ადგილს. შემდეგ მოდის ბათუმი ცხრა ბრენდირებული სასტუმროთი, რომელიც დამატებით ქმნის 2,350 საწოლ ადგილს, ხოლო დანარჩენი 14 სასტუმროდან სამი ბორჯომში, ორი-ორი ბაკურიანსა და წინანდალში, თითო-თითო თელავში, გუდაურში, საირმეში, შეკვეთილში, ქობულეთში, სტეფანწმინდასა და ქუთაისში ფუნქციონირებს ჯამში 3,099 საწოლი ადგილით.

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების რაოდენობა ყოველწლიურად მკვეთრად იზრდება განსაკუთრებით რეგიონებში. 2019 წელს საქართველოში ექვსმა ახალმა საერთაშორისო ბრენდის სასტუმრომ დაიწყო ფუნქციონირება, აქედან ოთხი რეგიონში გაიხსნა. კახეთის რეგიონში გაიხსნა პრემიუმ კლასის საერთაშორისო სასტუმროები Radisson BLU Tsinandali, Park Hotel Tsinandali, Holidey INN Telavi. BEST WESTERN საერთაშორისო ბრენდის სასტუმრომ ფუნქციონირება გუდაურში დაიწყო. 2020-2022 წლებში რეგიონებში ახალი ბრენდის სასტუმროების გახსნა იგეგმება, მათ შორის: ბათუმში, მწვანე კონცხზე, გოდერძიზე, გუდაურში, ბორჯომში და ქუთაისში.

ანგარიშში ბრენდის სასტუმროებში იგულისხმება:
Best Western Tbilisi, Tbilisi; Citadines Apart'hotel, Tbilisi ; Courtyard Marriott Hotel, Tbilisi; Crowne Plaza Borjomi, Borjomi,; Divan Suites Batumi, Batumi; Hilton Hotel & Resorts, Batumi; Holiday Inn Tbilisi, Tbilisi ; Hotels and Preference Hualing Tbilisi, Tbilisi ; Mercure Tbilisi Old Town, Tbilisi; Radisson BLU Hotel, Batumi; Radisson BLU Iveria Hotel, Tbilisi; Borjomi Likani Hotel, Borjomi; Rooms Hotel Kazbegi, Stepantsminda; Rooms Hotel Tbilisi, Tbilisi; Sheraton Batumi Hotel, Batumi; Sheraton Metechi Palace Hotel, Tbilisi; Tbilisi Marriott Hotels, Tbilisi; The Biltmore Hotel Tbilisi; Golden Tulip Borjomi, Borjomi; Ibis Styles Tbilisi Center, Tbilisi; Best Western Kutaisi, Kutaisi; Best Western Plus Bakuriani, Bakuriani; Best Western Plus Batumi, Batumi; Wyndham Batumi, Batumi; Euphoria Hotel, Batumi; Sky Tower Hotel Batumi; Ramada Encore, Tbilisi; Moxy by Marriott, Tbilisi; Best Western Sairme Resorts, Sairme; Best Western Tbilisi City Centre, Tbilisi; Best Western Premier Batumi, Batumi; Georgia Palace Hotel & Spa Kobuleti, Kobuleti; Stamba Hotel, Tbilisi; Georgia Palace Hotel & Spa Kobuleti, Kobuleti; Borjomi Likani Hotel; Marriott Autograph Collection-Hotel & Spa Resort, Shekvetili; Radisson BLU Tsinandali, Tsinandali; Wyndham Grand Tbilisi, Tbilisi; Park Hotel Tsinandali, Tsinandali; Ibis Tbilisi Stadium, Tbilisi; Rooms Hotel Kokhta, Bakuriani; Best Western Gudauri, Gudauri; Holiday Inn Telavi, Telavi.

დამატებითი ინფორმაცია: განთავსების საშუალებები (xsl) - https://bit.ly/321O5I2
მშენებარე განთავსების საშუალებები (xsl) - https://bit.ly/2E75kzL

განთავსების საშუალებების განაწილება



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

განთავსების საშუალებები ოთახების რაოდენობისა და რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დატვირთვის კოეფიციენტი ბრენდირებულ სასტუმროებში



წყარო: STR Global

დატვირთვის კოეფიციენტი თვეების მიხედვით



წყარო: STR Global

დატვირთვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგი ბრენდის სასტუმროების გათვალისწინებით: Leogrand Hotel, Crowne Plaza Borjomi, Divan Suites Batumi, Ambassadori Tbilisi Hotel, Citadines City Centre Tbilisi, Courtyard Tbilisi, Ibis Styles Tbilisi Center, Mercure Tbilisi Old Town, Hotel Citrus, Marriott Tbilisi Hotel, Millennium The Biltmore Tbilisi, Radisson Blu Iveria Hotel Tbilisi, ROOMS HOTEL Tbilisi, The Shota Hotel, Ramada Encore Tbilisi, Ameri Plaza, Hotels & Preference Hualing Tbilisi, Holiday Inn Tbilisi, Wyndham Batumi, Radisson Blu Hotel Batumi, Sheraton Hotel Batumi, Hilton Batumi, Georgia Palace Hotel & Spa, Golden Tulip Borjomi, MOXY Tbilisi, Iota Hotel Tbilisi, Paragraph Resort & Spa Shekvetili Autograph Collection, Best Western Kutaisi, Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace, Cron Palace Hotel Tbilisi, Best Western Tbilisi Art Hotel, Best Western Tbilisi City Center, Sole Palace, Tiflis Palace, Wyndham Grand Tbilisi, Radisson Collection Hotel Tsinandali Estate Georgia, Rooms Hotel Kazbegi, The Grand Gloria Hotel, Best Western Plus Batumi, Radius Hotel Tbilisi, Holiday Inn Telavi, The Grand Gloria Hotel.

2019 წელს გახსნილი სასტუმროები

Radisson BLU Tsinandali / წინანდალი
Wyndham Grand / თბილისი
Park Hotel Tsinandali / თელავი
Magnica Shekvetili / შეკვეთილი
Holiday Inn Telavi / თელავი
Hotel Chateau Khashmi / საგარეჯო
Schuchmann Wines / თელავი
Hotel Resolute / შეკვეთილი
Top Gold Hotel / თბილისი

Green Line Batumi / მწვანე კონცხი
Silver 39 Boutique Hotel / თბილისი
Green Tower Hotel / თბილისი
Radius Hotel Tbilisi / თბილისი
Ibis Tbilisi Stadium / თბილისი
BRIM HOTEL / თბილისი
Bakuriani Inn / ბაკურიანი
Rooms Hotel / ბაკურიანი
Best Western Gudauri / გუდაური

5,100+
საწოლი

დაგეგმილი განთავსების ობიექტების მშენებლობები 2020 / 2022

Hilton Garden Inn / თბილისი
Radisson Park Inn / თბილისი
Babylon Tower / ბათუმი
Pullman Hotels & Resort / თბილისი
Radisson Blu Gudauri / გუდაური
Courtyard by Marriott / ბათუმი
Radisson BLU Telegraph / თბილისი
Ramada Tbilisi / თბილისი
Ramada Kutaisi / ქუთაისი
Marriott Autograph Collection-Panorama
Freedom Square / თბილისი
Marriott Autograph Collection-Panorama
Sololaki / თბილისი
Swiss-Belhotel / ბათუმი

Le Meridien Batumi / ბათუმი
Holiday Inn Express / თბილისი
Hilton Tbilisi / თბილისი
Wellness Resort & Spa on
Mtsvane Kontskh / მწვანე კონცხი
Ramada Resorts / გოდერძი
Tabori Ridge Recreation & Golf Resort / თბილისი
Best Western Plus Likani Resort / ბორჯომი
NOVOTEL / ბათუმი
Holiday Inn Express / თბილისი
Pulmann Hotels & Resort / ბათუმი
Swissotel / თბილისი
Ibis Hotel Tbilisi / თბილისი

36,900+
საწოლი

დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აქვთ, ერთ-ერთი კი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა. საზოგადოებისთვის ნათელი ხდება, რომ დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ არა შემოღობილ და ყველასათვის აკრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია ტურისტული მიზნებითაც.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში შექმნილია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 12 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 20 აღკვეთილი და ერთი დაცული ლანდშაფტი; საქართველოში ხუთი კატეგორიის 87 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 9.56% (666 107 ჰა) უკავია.

2019 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 1,199,011 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდა წინა წელთან +8.2%-ს შეადგენს. აქედან უცხოელი ვიზიტორების წილი 51%-ია.

ყველაზე მეტი ვიზიტორი ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 195,228 (16.3%), მარტვილის კანიონს - 189,894 (15.8%) და პრომეთეს მღვიმეს - 184,264 (15.4%) ესტუმრა. პრომეთეს, მარტვილის, ოკაცის, მტირალას, სათაფლიას, კინჩხას ჩანჩქერს, თუშეთის, მაჭახელას და ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა აღემატებოდა ქართველ ვიზიტორთა რაოდენობას. შესაბამისად, უცხოელი ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა ასევე პრომეთეს მღვიმეს და მარტვილის კანიონს სტუმრობდა.

უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობამ დაცულ ტერიტორიებზე 611,989 შეადგინა, ზრდამ კი +15.7%. უცხოელ ვიზიტორებს შორის სჭარბობდნენ: რუსები 20.5%, ებრაელები 12.2%, პოლონელები 7.9%, გერმანელები 7.8% და უკრაინელები 6%.

დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლება 9,363,447 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან +11%-ია. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: პრომეთეს მღვიმე - 3,738,026 ლარი, მარტვილის კანიონი - 2,921,300 ლარი, ოკაცეს კანიონი - 1,152,511 ლარი და სათაფლია - 792,030 ლარი.

ძირითადი ინფორმაცია

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად; დაცული ტერიტორიები ასევე გამოიყენება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მიზნებისათვის.

დაცული ტერიტორიების განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანო დაცული ტერიტორიების სააგენტოა. მისი საქმიანობის სფეროს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

ვიზიტორები დაცულ ტერიტორიებზე სტუმრობისას ავსებენ სარეგისტრაციო ფორმებს (წარმომავლობა, ასაკი, სქესი და ა.შ). ვიზიტორთა ცენტრებში, აღნიშნული მონაცემები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით გროვდება და მუშავდება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სახელმწიფო ნაკრძალი - მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით. ამ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობები არ არის დაშვებული.

ეროვნული პარკი - ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება.

ბუნების ძეგლი - ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა).

აღკვეთილი - ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით.

დაცული ლანდშაფტი - ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

დაცული ტერიტორიების სტატისტიკა მოწოდებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ გვერდზე:
www.apa.gov.ge
დაცული ტერიტორიების სტატისტიკა
(xsl) - https://bit.ly/32100ce

ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები ეროვნების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	ცვლილება % 2018-2019
სულ	734,874	954,692	1,108,503	1,199,011	8.2%
უცხოელები	310,477	412,529	529,023	611,989	15.7%
ქართველები	424,397	542,163	579,480	587,022	1.3%

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები დაცული ტერიტორიების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქართველი და უცხოელი ვიზიტორების განაწილება დაცულ ტერიტორიებზე



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

შემოსავლების სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით (ლარი)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის მიმოხილვა

მიუხედავად ბევრი საერთაშორისო თუ შიდა დაბრკოლებისა საქართველოში ტურიზმის სექტორმა 2019 წელს ზრდა კვლავ განაგრძო, რაც საქართველოს მთავრობის და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტიური მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს: ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მომსახურების ხარისხის ზრდას, მასშტაბურ მარკეტინგულ კამპანიებს შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე, ახალი ბაზრების ათვისებასა და ტურისტული პროდუქტების განვითარებას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებში განიხილება. 2019 წელს პროექტ „ღვინის გზაში“ დამატებით ჩაერთო 47 ახალი ღვინის ტურიზმის ობიექტი. საერთო ჯამში ამ ეტაპზე ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 211 ობიექტს. 2019 წელს მოხდა პანკისის ხეობის, შიდა და ქვემო ქართლის ბილიკების მარკირება. ასევე განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტში (ხაიში, ჭუბერი, ნაკრას ხეობები) ბილიკების მოკვლევა, რომელთა მარკირებაც 2020 წელს არის განსაზღვრული. ოზურგეთისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში დამონტაჟდა შვიდი საინფორმაციო მანათობელი ორმხრივი კონსტრუქცია. გორში დამონტაჟდა რვა ტურისტული ადგილების საპრომოციო ბანერი და ოთხი ახალი საინფორმაციო კონსტრუქცია.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანებისათვის. 2019 წელს გადამზადების კურსები გაიარა 2,000 - მდე ადამიანმა, შიდა და ქვემო ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის ქვემო სვანეთი, სამეგრელო ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, გურიის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებში. სასწავლო კურსები განხორციელდა შემდეგ თემატიკებზე: მომსახურების უნარ-ჩვევები, ღვინის გიდის ტრენინგი, ტურისტული დიპლომატია, როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, დაჯავშნის პლატფორმა ექსპედიას მართვა, დაჯავშნის პლატფორმა ბუქინგის მართვა, სასტუმროს მომსახურების უნარ-ჩვევები, შშმ პირებისთვის ტურისტული სერვისების დანერგვა და განვითარება, როგორ შევქმნათ 5 ვარსკვლავიანი გაყიდვების და კომუნიკაციების სისტემა, სათავგადასავლო ტურიზმის გამყოლის მომზადების საბაზისო სასწავლო კურსი, გუნდური მუშაობის პრინციპები, როგორ მოვიზიდოთ ჩინეთის ტურისტული ბაზრის საკომუნიკაციო არხები, GCC ქვეყნების ტურისტული ბაზრების ანალიზი.

ტურიზმით დაინტერესებულ პირთათვის და სტუდენტებისთვის გამოიცა სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად მეოთხე გამოცემა ქართულ ენაზე, ასევე კონფერენცია სახელწოდებით „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები“ ჩატარდა თბილისში და კახეთში.

შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით, 2019 წელს პროექტ „გაიცანი საქართველოსა“ და „საიმედო ტურის“ ფარგლებში ჩატარდა 19 პრეს-ტური 11 სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნული პრეს-ტურის ფარგლებში, ჟურნალისტებმა მოინახულეს რეგიონები და მოამზადეს სიუჟეტები, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციასა და შიდა ტურიზმის სტიმულირებას. ახალი ტურების შემუშავების მიზნით, შემომყვანი ტურისტული კომპანიებისთვის ჩატარდა შვიდი ინფო ტური შვიდ რეგიონში. საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული რესურსების პოპულარიზაციისა და გასტრონომიული ტურიზმის განვითარების მიზნით, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონში ჩატარდა გასტრონომიული ტურები.

ადმინისტრაციამ, ასევე, განახორციელა პროექტი „Discount Week“, რომელიც მოიცავდა აჭარის

რეგიონში ტურისტული სერვისების ფასდაკლების კვირეულს. ფასდაკლებების კვირეულში მონაწილე სასტუმროებს პროექტმა ხელი შეუწყო დამსვენებლების მოზიდვაში.

DISCOUNT WEEK

შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით, ადმინისტრაციამ ასევე განახორციელა სხვადასხვა ღონისძებები; „გაიცანი საქართველო“, „26 მაისის ღონისძიება“ მესტიასა და თელავში, „ვარძიის სათავგადასავლო ტურნირი“, „ბორჯომობა 2019“, „მოლაშქრეთა ფესტივალი“, „გურჯაანის ღვინის ფესტივალი“, „ხაჭაპურის ფესტივალი“, „საერთაშორისო გასტრონომიული ფესტივალი- bocuse d’or georgia“.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არსებული ბაზრების შენარჩუნებასთან ერთად კონცენტირებულია ახალი ბაზრების ათვისებაზე, მათ შორისაა გალფის ქვეყნები და ჩინეთი, რომელთაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ.
2019 წელს ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 30 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, ჩაატარა 131 პრეს და გაცნობითი ტური (574 ჟურნალისტი, ბლოგერი, გადამღები ჯგუფი და 257 ტურ-ოპერატორი). პრეს და გაცნობითი ტურების შედეგად მომზადდა 300-მდე სტატია, პოსტი და ბლოგი და 15-მდე სატელევიზიო გადაცემა და სიუჟეტი. გაიმართა საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის პრეზენტაცია რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორისაა: იაპონია, უზბეკეთი, ჩეხეთი, ისრაელი, ესპანეთი, კორეა. სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები მოიცავდა მიზნობრივ ბაზრებზე ინტეგრირებულ, ციფრულ და სატელევიზიო კამპანიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვარზე შემოსული ვიზიტორებისთვის ბრენდირებული სასაჩუქრე ღვინის ჩუქების აქცია, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს, როგორც ქვეყანაში არსებული საქმიანი ტურიზმის განვითარებაზე, ასევე, საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლებაზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ოფიციალურ ფუქციონირებას აგრძელებს საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო.

Convention and Exhibition Bureau of Georgia

საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალის უკეთ წარმოჩენის მიზნით, საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ 2019 წელს მონაწილეობა მიიღო 14 საერთაშორისო B2B შეხვედრასა და გამოფენაში. ასევე, ბიურომ, ქუვეითში, ყაზახეთში, უზბეკეთში, უკრაინასა და საუდის არაბეთში ადგილობრივი წამყვანი ტურ-ოპერატორებისათვის პრეზენტაცია გამართა. ამასთან, ბიუროს ორგანიზებით, საქართველოში გაიმართა b2b შეხვედრები ყაზახეთის 12 ტურ-ოპერატორთან, ჩინეთის 8 ტურ-ოპერატორთან, აზიისა და შორეული აღმოსავლეთის 34 ტურ-ოპერატორთან, უკრაინის 27 ტურ-ოპერატორთან და სკანდინავიის ქვეყნების (შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი) 10 ტურ-ოპერატორთან.

ასევე, საქართველოში საქმიანი ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2019 წელს საქმიანი ტურიზმის ისტორიაში, პირველად საქართველოში, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა (UNWTO) და საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაციის (ICCA) ერთობლივი ღონისძიება „მასტერკლასი შეხვედრების ინდუსტრიაში“ გაიმართა. ღონისძიება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართა. საქართველო ღონისძიების მასპინძლად მრავალ ქვეყანას შორის შეირჩა.

საქართველოს წარმატებული წელი ჰქონდა ტურიზმის დარგში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებითაც. 2019 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებასა და მემორანდუმებს ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგ ქვეყნებთან: პორტუგალია, არგენტინა, მალდივის რესპუბლიკა. 2019 წელს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია განევრიანდა საერთშორისო ორგანიზაციაში "WYSE Travel Confederation". რომლის მიზანია ახალგაზრდული მოგზაურობის ინდუსტრიის და საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და მოცემული მიმართულებით მისი წევრებისთვის ბიზნეს-განვითარების მექანიზმების შემუშავება.

2019 წელს მნიშვნელოვნად გაღრმავდა ურთიერთობა დონორებთან კერძო სექტორის მხარდაჭერის მიზნით:

The World Bank - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მარკეტინგის/ბრენდინგის სტრატეგიის შემუშავება (კახეთი, იმერეთი), დესტინაციების მართვის ორგანიზაციების (DMO) განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა (კახეთი, იმერეთი)

USAID-ტურიზმის ეროვნული სტრატეგიის 2025-ის ახალი ორწლიანი სამუშაო გეგმის შემუშავება, მარკეტინგული აქტივობების მხარდაჭერა, სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

USAID/ZRDA - დესტინაციების მართვის ორგანიზაციების (DMO) მხარდაჭერა (სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი), ტურიზმის განვითარების სტრატეგია (სამეგრელო) , საინფორმაციო ცენტრების ინტერიერის განახლება (ზუგდიდი, გორი, ბორჯომი, ახალციხე)

ADA/SIDA - სამთო ტურიზმის განვითარების სტრატეგია, მაღალმთიან რეგიონებში სამთო და ეკო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (რაჭა, სვანეთი)

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა

2020 წლის 15-17 სექტემბერს, საქართველო მასპინძლობს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 112-ე სხდომას. ღონისძიების ფარგლებში საქართველო უმასპინძლებს 200-დე სტუმარს სხდავასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ტურიზმის მინისტრებსა და მაღალი რანგის თანამდებობის პირებს. აღნიშნული ღონისძიების გამართვა ხელს შეუწყობს მსოფლიო მასშტაბით საქართველოს ტურისტული პოტენციალის შემდგომ პოპულარიზაციასა და ქვეყნის უსაფრთხო დანიშნულების ადგილის იმიჯის განმტკიცებას.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა
ტურიზმი ერთ სივრცეში
www.gnta.ge/publications
კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო

ტურისტული ტერმინები

აგენტი - პირი ან კომპანია (შემომყვანი ტუროპერატორი, ბითუმად ან საცალოდ მოვაჭრე), რომელიც ყიდის პროდუქტს მფლობელის ნაცვლად.

ბიზნეს ვიზიტორი - არის ვიზიტორი, რომლის ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი ბიზნესი და პროფესიული საქმიანობაა.

ბიზნეს ტურიზმი - აერთიანებს ვიზიტორებს, რომლებიც მოგზაურობენ ყრილობებისთვის, კონფერენციებისთვის, სემინარებისთვის, ვორქშოფებისთვის, სიმპოზიუმებისთვის, გამოფენებისა და სპეციალური ღონისძიებებისთვის.

გამყვანი ტურიზმი - რეზიდენტის მოგზაურობა თავისი ქვეყნიდან საერთაშორისო ტურისტული ადგილისკენ.

გრძელ დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე მეტია.

დისტრიბუცია - არხები ან ადგილები, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელი პროდუქტს შეისყიდის.

ერთდღიანი ვიზიტორი - ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ეროვნული ტურიზმი - ეროვნული ტურიზმი მოიცავს შიდა და გამყვან ტურიზმს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობას მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ.

კვლევა - პროცესი, რომლის დროსაც შერჩევის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სტატისტიკური მეთოდოლოგიის სისტემატური გამოყენების გზით ხდება პოპულაციის მახასიათებლების დადგენა.

მეგობრების და ნათესავების მონახულება (VFR) - ვიზიტორები, რომელთა მოგზაურობის ძირითადი მიზანია მეგობრების და ნათესავების მონახულება.

მოკლე დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე ნაკლებია.

ონლაინ დისტრიბუცია - ინტერნეტისა და ვებ-გვერდების გამოყენება მომხმარებლამდე პროდუქტის მიწოდებისა და პრომოუშენისათვის.

ოპერატორი - ტურისტული პროდუქტის მფლობელი ან მენეჯერი.

რეზიდენტობის ქვეყანა - შინამეურნეობის რეზიდენტობის ქვეყანა განისაზღვრება იმის მიხედვით თუ სადაა შინამეურნეობის წევრების ეკონომიკური ინტერესების ცენტრი. თუ ინდივიდი ცხოვრობს ერთ წელზე მეტი დროით ქვეყანაში და მისი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი ეს ქვეყანაა, (სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებს) ის ითვლება აღნიშნული ქვეყნის რეზიდენტად.

საერთაშორისო ვიზიტორი - 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით.

საერთაშორისო მოგზაური - ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან.

საერთაშორისო ტურიზმი - მოიცავს შემომყვან და გამყვან ტურიზმს. იგი აერთიანებს ერთი მხრივ, ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ როგორც შიდა ასევე გამყვანი ტურიზმის ფარგლებში. ასევე მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ სხვა ქვეყნის რეზიდენტები ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის ფარგლებში.

საკომისიო - გადასახადი, რომელსაც უხდიან აგენტს პროდუქტის ბაზარზე მიწოდებისთვის, დისტრიბუციის და გაყიდვის სანაცვლოდ.

სრულიად დამოუკიდებელი მოგზაური - მოგზაურები, რომლებიც თვითონ გეგმავენ თავიანთ მოგზაურობას. არსებობს დამოუკიდებელი მოგზაურობის სხვადასხვა ტიპები: მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ზურგჩანთით მოგზაურობა და ნაწილობრივი პაკეტით მოგზაურობა.

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა - დამოუკიდებელი ბიზნესების გლობალური ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოძებნოს და დაჯაშვნოს მოგზაურობა.

ტურისტი - ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.

ტურისტული ადგილი - ტურისტული პროდუქტისა და ადგილის ერთობლიობა.

ტურისტული დანახარჯები - აღნიშნავს იმ თანხას, რომელიც გადახდილია ტურისტული მოგზაურობის დროს საქონელსა და მომსახურებაში, ასევე ძვირფას ნივთებში, რომელიც განკუთვნილია ან პირადი მოხმარებისათვის ან საჩუქრად გადასაცემად. აქ იგულისხმება როგორც თვით ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები, ისე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები.

ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი - ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი არის მიზანი, რომლის არ არსებობის შემთხვევაშიც ტურისტული ვიზიტი არ შედგებოდა.

ტურისტული ინდუსტრია - ყველა ბიზნესი, რომელიც ჩართულია ტურიზმში, სადისტრიბუციო აგენტებისა და პროდუქტის მიმწოდებლის ჩათვლით.

შემომყვანი ტურიზმი - საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლა ქვეყანაში, ასევე ცნობილია როგორც ექსპორტ-ტურიზმი.

შემომყვანი ტუროპერატორი (ITO) - დამაკავშირებელი რგოლი ტურისტული პროდუქტის მფლობელსა და უცხოურ კომპანიას შორის.ის ქმნის ტურისტულ პაკეტს და ყიდის მას პირდაპირ მომხმარებელზე ან უცხოურ კომპანიაზე.

შერჩევა - პოპულაციის ქვესიმრავლე, სადაც ელემენტების შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული ალბათობით.

შეხვედრისა და წახალისების მგეგმავი - ორგანიზებას უწევს შეხვედრის, წახალისების და ღონისძიების ყველა ასპექტს.

შიდა ტურიზმი - რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობა მოცემული ქვეყნის შიგნით.

ჩვეული გარემო - ჩვეული გარემო, ტურიზმში ძირითადი კონცეფციაა და განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ინდივიდი აწარმოებს რეგულარულ ცხოვრების რუტინას.

ჩვეული რეზიდენტობის ადგილი - ჩვეული რეზიდენტობის ადგილი არის გეოგრაფიული ადგილი სადაც ადამიანი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

წამახალისებელი მოგზაურობა - წამახალისებელი მოგზაურობა არის მგზავრობა, რომელსაც პრიზის ან ჯილდოს სახით სთავაზობენ კარგი შედეგების მქონე თანამშრომლებს ან გაყიდვების აგენტებს.

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ

სამმართველოს უფროსი: გიორგი ბრეგაძე
g.bregadze@gnta.ge

სპეციალისტი: ანა არაბული
a.arabuli@gnta.ge

ტელ: +995 322 43 69 99 (1820)
infostatistics@gnta.ge

მადლობა

ШИНАГАН САКМЕТА САМИНИСТРО

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

GEOSTAT www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

WWW.APA.GOV.GE
დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

დაცული ტერიტორიების სააგენტო

GCAA GEORGIAN CIVIL AVIATION AGENCY

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ჭოველიძის ქ. 10ა, 0108, თბილისი, საქართველო
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05
ფაქსი: +(995 32) 292 15 34
E-mail: ministry@moesd.gov.ge
www.economy.ge

Georgia

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 436 999
ფაქსი: +995 32 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.georgia.travel
www.gnta.ge

2019



საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

www.economy.ge

Georgia

საქართველოს ტურიზმის ეროვნული
ადმინისტრაცია

www.gnta.ge